



**საქართველოს იუსტიციის სამინისტრო**  
**საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**



KA011772285025821

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;  
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

# 116058

18 / მარტი / 2021 წ.

**გადაწყვეტილება**

**ადმინისტრაციული საჩივრების წარმოებაში მიღების შესახებ**

**ადმინისტრაციული საჩივრის ნომერი:** 111996; **თარიღი:** 17.03.2021 წ.

**დამატებით წარმოდგენილი განცხადების ნომერი:** 120320/17; **თარიღი:** 15.03.2021 წ.

**ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი:** მიხეილ გელაძე (პირადი ნომერი 61005000107).

**გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომცემი/ქმედების განმასხვავებელი სტრუქტურული ერთეულის დასახელება:** საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - „საჯარო რეესტრი“) თელავის სარეგისტრაციო სამსახური, ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის აჭარის რეგიონული ოფისი (შემდეგში - „აჭარის რეგიონული ოფისი“).

**გასაჩივრებული გადაწყვეტილება:** სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ №882021162551-05 (12.03.2021 წ.) გადაწყვეტილება.

**ადმინისტრაციული საჩივრის ავტორის მოთხოვნა:** არ ეთანხმება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ №882021162551-05 (12.03.2021 წ.) გადაწყვეტილებას, მოითხოვს მის გაუქმებას და 05.21.51.001.01.875 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავ ნივთზე იჯარის უფლების შეწყვეტის რეგისტრაციას.

**უძრავი ნივთის მისამართი:** ქალაქი ბათუმი, ჭავჭავაძის ქუჩა №5, სართული №1, S1/2/B S1/2/A.

№ 111996 (17.03.2021 წ.) (დამატებით წარმოდგენილი განცხადება: № 120320/17 (15.03.2021 წ.)) ადმინისტრაციული საჩივრის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ იგი პასუხობს ადმინისტრაციული საჩივრის მიღებისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 182-ე, 195-ე მუხლებით გათვალისწინებულ ყველა პირობასა და მისი განხილვის დამატარებელი გარემოება არ არსებობს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 185-ე მუხლის დანაწესით, თუ ამ თავით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიყენება ამ კოდექსის VI თავით გათვალისწინებული დებულებანი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა, და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, დაინტერესებული მხარე განმარტებულია, როგორც ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება. ამ კოდექსის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ პირს უნდა ეცნობოს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და უზრუნველყოფილ იქნეს მისი მონაწილეობა საქმეში. ამ კოდექსის 95-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას დაინტერესებული მხარე მისი მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში ვალდებულია უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე მუხლით დადგენილია დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება, რომლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე პირის უფლებამოსილებას, წარადგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე, შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის მოთხოვნით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 194-ე მუხლით დადგენილი წესით, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, მისცეს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს საკუთარი აზრის წარდგენის შესაძლებლობა და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

საჯარო რეესტრის მონაცემებით, ქალაქ ბათუმში, ჭავჭავაძის ქუჩის №5-ში, №1 სართულზე, მდებარე 170 კვ.მ (საკადასტრო კოდი 05.21.51.001.01.875) უძრავ ნივთზე რეგისტრირებულია შპს „ატლანტიკ“-ას (საიდენტიფიკაციო ნომერი 445590021) იჯარის უფლება.

ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩაბმული უნდა იქნეს შპს „ატლანტიკ“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 445590021).

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების, სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის, რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს აღნიშნული გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედებას.

ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე, 98-ე, 177-ე, 182-ე, 194-ე და 195-ე მუხლების შესაბამისად,

### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. მიღებულ იქნეს წარმოებაში მიხეილ გელაძის (პირადი ნომერი 61005000107) № 111996 (17.03.2021 წ.) (დამატებით წარმოდგენილი განცხადება: № 120320/17 (15.03.2021 წ.)) ადმინისტრაციული საჩივარი;
2. № 111996 (17.03.2021 წ.) (დამატებით წარმოდგენილი განცხადება: № 120320/17 (15.03.2021 წ.)) ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაში დაინტერესებული მხარის სტატუსით ჩაბმული იქნეს შპს „ატლანტიკ“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 445590021);
3. ადმინისტრაციული საჩივარი და მათზე თანდართული დოკუმენტების ასლები გადაეგზავნოს აჭარის რეგიონულ ოფისს და ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული მხარის სტატუსით ჩაბმულ პირს;
4. დაინტერესებულ მხარეებს განემარტოთ, რომ წარმოებაში არსებულ საკითხთან დაკავშირებით, უფლება აქვთ, გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინონ წერილობითი მოსაზრებები, მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნონ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, ადმინისტრაციული ორგანოსთან ურთიერთობა აწარმოონ წარმომადგენლის მეშვეობით, განაცხადონ აცილება და ისარგებლონ დაინტერესებული მხარის უფლებებით, რაც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით;
5. დაევალოს საჯარო რეესტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას წინამდებარე კორესპონდენციის საჯაროდ გამოცხადება ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე ბათუმის (მისამართი: ქ. ბათუმი, შერიფ ხიმშიაშვილის ქუჩა № 7) იუსტიციის სახლში და საჯაროდ გამოცხადების შესახებ ინფორმაციის წერილობითი ფორმით წარმოდგენა;
6. წინამდებარე კორესპონდენცია ასევე საჯაროდ გამოცხადდეს საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge);
7. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე ადმინისტრაციული აქტი ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

